ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8018853

ნომერი: AR11152956

თარიღი : 17.07.2026

გაცემის თარიღი : 24.07.2026

გაცნობის თარიღი : 27.07.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N 60;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იონა ნიკოლაიშვილი პ/ნ 01617059466
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. N 3 ბ. 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N 60, მოქ.ზაური მერაბიშვილის კერძო საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882026394126 18/05/2026წ. საკადასტრო კოდი №01.14.04.029.140.01.02.002დ, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N 60, მოქ.ზაური მერაბიშვილის კერძო საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.